# სპორტ ინფო

ყოველდღიური სპორტული გაზეთი

№ 110(6444) 8 ივნისი 2021 წ. სამშაბათი ფასი 40 თეთრი


## გერმანიამ ევროპის ჩემპიონატის წინ ლატვიასთან ივარჯიშა



გერმანია 7:1 ლატვია

თომას მიულერის ანგარიშზე გოლი და საგოლე პასი

## შენგელიას 18 ქულით ცსკა-მ VTB-ლიგის ფინალურ სერიაში მეორე მატჩიც მოიგო

შერმადინის ტენერიფე ბარსელონასთან განადგურდა





3 გვ.

## რეალმა სერხიო რამოსთან გამოსამშვიდობებლად მზადება დაიწყო



2 გვ.

## რონალდუ საკუთარ მომავალზე გადაწყვეტილებას ევრო-2020-ის შემდეგ მიიღებს

იუვემ კრიშტიანოს წასვლის შემთხვევაში შესაძლოა გაბრიელ ჟეზუსი დაიმატოს

იხილეთ მე-4 გვ.

## ბუსკეტსს კორონავირუსი აღმოაჩნდა, ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ესპანეთის ნაკრები აიცრება



5 გვ.

## უკრაინამ კვიპროსს თითო ტაიმში ორი გოლი გაუტანა



უკრაინა 4:0 კვიპროსი

შევჩენკოს გუნდი მომდევნო მატჩს უკვე ევროპირველობაზე 13 ივნისს, ამსტერდამში ნიდერლანდების წინააღმდეგ ჩაატარებს

## ჯოკოვიჩმა მუზეტის 0:2-დან ამოუქაჩა

ნადალმა კი კვლავ 3 სეტში მოიგო





3 გვ.

ჯოკოვიჩი 6:7; 6:7; 6:1; 6:0; 4:0 მუზეტი
(მუზეტის ტრავმა)
ნადალი 7:5; 6:3; 6:0 სინერი

# რეალმა სერხიო რამოსთან გამოსაშვიდობებლად მზადება დაიწყო



ესპანური გამოცემა ABC-ს ცნობით, „რეალმა“ გუნდის კაპიტან სერხიო რამოსთან გამოსამშვიდობებელი ღონისძიების ორგანიზებაზე მუშაობა დაიწყო. კლუბს სურს, რომ 35 წლის ფეხბურთელს „ბლანკოსთან“ ერთად მოგებული 20 თასის ფონზე სამახსოვრო ფოტოები გადაუღოს. ჯერჯერობით, უცნობია, რა რეაქცია აქვს ამ იდეაზე თავად რამოსს.

როგორც ესპანურ პრესაში წერენ, უკვე პრაქტიკულად აღარ არსებობს იმის შანსი, რომ ესპანელმა მცველმა „რეალთან“ კონტრაქტი გაახანგრძლივოს. კლუბის ბიუჯეტში ის თანხა, რომელსაც რამოსს უხდიდნენ, გუნდის ახალწვეულ დავიდ ალაბასთვის იქნება გამოყოფილი.

რამოსი მადრიდულ გრანდში 2005 წლიდან თამაშობს. მან გასულ სეზონში 21 მატჩი ჩაატარა, 4 გოლი გაიტანა და 1 საგოლე პასი გააკეთა.

# მასიმილიანო ალეგრის ფულის გათეთრებაში ადანაშაულებენ



„იუვენტუსის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე ახლახან დაბრუნებული მასიმილიანო ალეგრის შესახებ იტალიურ პრესაში სკანდალური ინფორმაცია გავრცელდა. პრესის მტკიცებით, 53 წლის სპეციალისტი ფულის გათეთრებაშია ეჭვმიტანილი. როგორც ამბობენ, 2018 წლის აგვისტოდან 2021 წლის აპრილამდე ალეგრის საბანკო ანგარიშზე 7 გადარიცხვა განხორციელდა 161 000 ევროს ოდენობით კომპანია „Oia Limited“-ისაგან, რომელიც აზარტული თამაშების სფეროში უკანონო ფინანსურ საქმიანობაშია შემჩნეული.

იმავე პერიოდის განმავლობაში, ალეგრის 168 000 ევრო ჩაურიცხა სლოვენიურმა კომპანია „Hit DD Nova Gorica“-მ, რომელიც სლოვენიაში სასტუმროებს, სათამაშო და გასართობ ცენტრებს ფლობს. შესაძლოა, ეს იყო ალეგრის მიერ მოგებული თანხა, თუმცა გამოძიება არ გამორიცხავს, რომ საქმე გარკვეულ მაქინაციებს უკავშირდება. ამასთან, დროის აღნიშნულ მონაკვეთში, იტალიელმა აზარტულ თამაშებთან დაკავშირებულ ოპერაციებზე 356 000 ევრო დახარჯა.

თავად მასიმო ყოველგვარ ბრალდებას უარყოფს.

— აბსოლუტურად მტკიცედ ვაცხადებ, რომ რაიმე უკანონო საქმიანობასთან და, მითუმეტეს, ფულის გათეთრებასთან არანაირი კავშირი მაქვს, — აცხადებს ალეგრი, რომელიც გასული 2 წელი უმუშევარი გახლდათ.

# კოპა ამერიკის ბოიკოტის გამო ტიტე შესაძლოა ბრაზილიის ნაკრებიდან გაათავისუფლონ

მაშინ, როცა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის დაწყებამდე ოთხი დღეა დარჩენილი, ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაცია ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან ტიტეს გათავისუფლებაზე მსჯელობს. საქმე იმაშია, რომ ტიტე და მისი ფეხბურთელები ჩემპიონატის ბრაზილიაში გამართვის წინააღმდეგ გამოდიან. მოგეხსენებათ, ტურნირი თავდაპირველად კოლუმბიაში იყო დაგეგმილი, მაგრამ გართულებული ეპიდემიური სიტუაციის გამო მასპინძლობის უფლება არგენტინას გადააბარეს. მოგვიანებით, იმავე მიზეზით, არგენტინის ვარიანტიც გამოირიცხა და საბოლოოდ ტურნირის ჩატარება ბრაზილიაში გადაწყდა. თუმცა, კორონავირუსის გავრცელების მხრივ ამ ქვეყანაშიც რთული ვითარებაა.

„Globo Esporte“-ს თანახმად, „კოპა ამერიკაზე“ ტიტეს ნაცვლად „სელესაოს“ შესაძლოა რენატო გაუჩომ უხელმძღვანელოს, რომელიც ბრაზილიის პრეზიდენტ ჟაირ ბოლსონაროს მხარდამჭერია.

ლათინო-ამერიკულ პრესაში წერდნენ, რომ ტურნირის გადადებას არგენტინის ნაკრების წევრებიც ითხოვდნენ, მაგრამ გუნდის პრესსამსახურმა ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყო.



# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## კრისტალბეთ ერ. ლიგა-2

*7 ივნისი, ორშაბათი*

**შევარდენი 4:0 ჩიხურა**

*გოლი:* გვარაძე 2, გოგოლაშვილი 26, ბრეგვაძე 59, 70.

**დინამო ზ. 1:5 გაგრა**

*გოლი:* მარკოზაშვილი 13 (0:1), მუმლაძე 40 (0:2), სამუშია 70 (0:3), ვეკუა 74 (0:4), სულთანიშვილი 76 (0:5), წურწუმია 85 (1:5).

**რუსთავი 0:3 მერანი თბ.**

*გოლი:* დეისაძე 54, ღირდალაძე 84, ჩიქოვანი 90+3.

*8 ივნისი, სამშაბათი*

**სიონი - მერანი მარტ.**

**გარეჯი - ვიტ ჯორჯია**

*სატურნირო მდგომარეობა:*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გაგრა | 15 | 10 | 3 | 2 | 35:11 | 33 |
| სიონი | 14 | 11 | 0 | 3 | 24:8 | 33 |
| მერანი მარ. | 14 | 7 | 2 | 5 | 22:18 | 23 |
| ვიტ ჯორჯია | 14 | 5 | 6 | 3 | 11:11 | 21 |
| მერანი თბ. | 15 | 5 | 5 | 5 | 22:19 | 20 |
| გარეჯი | 14 | 6 | 2 | 6 | 17:14 | 20 |
| შევარდენი | 15 | 5 | 5 | 5 | 19:17 | 20 |
| დინამო ზ. | 15 | 5 | 1 | 9 | 17:32 | 16 |
| რუსთავი | 15 | 4 | 2 | 9 | 14:25 | 14 |
| ჩიხურა | 15 | 1 | 2 | 12 | 9:34 | 5 |

# ნეიმარი ლიგა 1-ის სიმბოლურ ნაკრებში ვერ მოხვდა

საფრანგეთის ლიგა 1-მა გულშემატკივართა შორის ჩატარებული გამოკითხვის შედეგად 2020-21 წლების სეზონის სიმბოლური ნაკრები შეადგინა. საინტერესოა, რომ მასში ადგილი ვერ მოიძებნა „პარი სენ-ჟერმენის“ ფორვარდ ნეიმარისთვის.

***მეკარე:*** მიკ მენიანი (ლილი);

***მცველები:*** ჟონათან კლაუსი (ლანსი), მარკინიოსი (პსჟ), ჟოზე ფონტე, რეინილდუ მანდავა (ლილი);

***ნახევარმცველები:*** ლუკას პაკეტა (ლიონი), ბენჟამინ ანდრე (ლილი), ორელიენ ტჩუამენი (მონაკო);

***თავდამსხმელები:*** მემფის დეპაი (ლიონი), ბურაქ ილმაზი (ლილი), კილიან მბაპე (პსჟ).



## მსოფლიოს ჩემპიონატი

*აზიის კვალიფიკაცია*

| | |
|---|---|
| ყირგიზეთი-მონღოლეთი | 0:2(0:1) |
| იაპონია-ტაჯიკეთი | 4:1(2:1) |
| სამ.კორეა-ჩრდ.კორეა | (გად) |
| ბანგლადეში-ინდოეთი | 0:2(0:0) |
| გუამი-სირია | 0:3(0:2) |
| ერაყი-კამბოჯა | 4:1(3:0) |
| ნეპალი-იორდანია | 0:3(0:1) |
| ირანი-ბაჰრეინი | 3:0(0:0) |
| საამიროები-ტაილანდი | 3:1(2:0) |
| ვიეტნამი-ინდონეზია | 4:0(0:0) |
| ჩინეთი-ფილიპინები | 2:0(0:0) |
| ომანი-ყატარი | 0:1(0:1) |
| უზბეკეთი-სინგაპური | 5:0(3:0) |
| ავსტრალია-ტაივანი | 5:1(3:0) |

## მხანაგური მატჩები

### გერმანია 7:1 ლატვია

***გოლი:*** გოზენსი 19 (1:0), გიუნდოგანი 21 (2:0), მიულერი 27 (3:0), ოზოლსი 39-ს.კ. (4:0), გნაბრი 45 (5:0), ვერნერი 50 (6:0), საველიევსი 75 (6:1), სანე 76 (7:1).

***გერმანია:*** ნოიერი, გინტერი, ჰუმელსი, რუდიგერი (61, ზულე), გოზენსი (61, გიუნტერი), კიმიხი, კროოსი, გიუნდოგანი (61, ჯანი), გნაბრი (46, სანე), ჰავერცი (46, ვერნერი), მიულერი (76, მუსიალა).

***ლატვია:*** ოზოლსი, იურკოვსკისი, ოსი (46, ტარასოვსი), ჩერნომორჯიჩი, ფიოდოროვსი, კარკლინსი (61, კროლისი), ემსისი, ციგანიკსი (68, იაუნზემსი), იკაუნიეკსი (46, მაკსიმენკო), ზიუზინსი (69, საველიევსი), ულდრიკისი (80, ვარსლავანსი).

***გაფრთხილება:*** ზიუზინსი 19, გიუდოგანი 35, ოსი 35.

**კუთხური: 4/1; ჯარიმა: 11/8**

### უკრაინა 4:0 კვიპროსი

***გოლი:*** იარმოლენკო 37, ზინჩენკო 45+2, იარემჩუკი 59, იარმოლენკო 65.

***უკრაინა:*** პიატოვი, ზაბარნი, კრივცოვი, მატვიენკო (60, კარავაევი), სობოლი, მაკარენკო (46, სტეპანენკო), მალინოვსკი (67, სუდაკოვი), ზინჩენკო, ზუბკოვი (46, მარლოსი), იარმოლენკო (70, შეპარენკო), იარემჩუკი (67, ბესიედინი).

***კვიპროსი:*** პანაგი, იოანუ, სოტერიუ, კარო, ავრაამი (46, კუსულოსი), პანაიოტუ, კირიაკუ (69, ზახარიუ), არტიმატასი (78, ჯოგიჩი), პაპულისი (61, კასტანოსი), პიტასი (85, ლოიზუ), ილია (46, კრისტოფი).

***გაძევება:*** პანაიოტუ 36.

**კუთხური: 5/2; ჯარიმა: 9/9**

| | |
|---|---|
| სერბეთი-იამაიკა | 1:1(0:1) |
| ესტონეთი(19)-ლიეტუვა(19) | 0:0 |
| სერბეთი(19)-რუმინეთი(19) | 1:0(1:0) |
| ცენტ.აფრიკა-რუანდა | 0:5(0:2) |
| ბოსნია(21)-ყატარი(23) | 5:1(2:0) |
| ანდორა-გიბრალტარი | 0:0 |
| ფარერები-ლიხტენშტეინი | 5:1(3:1) |

## კონკაკაფი

*ერთა თასი*

| | |
|---|---|
| ჰონდურასი-კოსტა რიკა | 2:2(0:1)5:4პ. |
| აშშ-მექსიკა | 2:2(1:1)1:0დდ |

## შვედეთი

*სუპერეტა*

| | |
|---|---|
| იონჩოპინგსი-აკროპოლისი | 4:1(2:1) |

## ისლანდია

*პეპსიდეიდლლიგა*

| | |
|---|---|
| ვალური-ვიკინგური | 1:1(0:0) |

## ბრაზილია

*სერია A*

| | |
|---|---|
| სპორტ რესიფე-ატლეტიკო მგ | 0:1(0:1) |

*სერია B*

| | |
|---|---|
| ავაი-ვილია ნოვა | 1:1(0:0) |

## ჩილე

*პრიმერა*

| | |
|---|---|
| კოლო კოლო-ლა სერენა | 2:0(0:0) |
| მელიპილა-ჰიგინსი | 3:1(3:0) |

## ურუგვაი

*აპერტურა*

| | |
|---|---|
| უანდერერსი-პენიაროლი | 0:0 |
| ფინიქსი-ვილა ესპანიოლა | 1:0(1:0) |

## კალათბურთი

*საბერძნეთი ფინალი*

| | |
|---|---|
| პანათინაიკოსი-ლავრიო | 103:74 |
| | სერია 2:1 |

*იტალია ფინალი*

| | |
|---|---|
| მილანო-ვირტუს ბოლ. | 72:83 |
| | სერია 0:2 |

*ლიეტუვა ფინალი*

| | |
|---|---|
| ჟალგირისი-რიტასი | 84:73 |
| | სერია 3:0 |

*VTB ლიგა ფინალი*

| | |
|---|---|
| უნიქსი-ცსკა | 57:76 |
| | სერია 0:2 |

*ესპანეთი 1/2 ფინალი*

| | |
|---|---|
| ბარსელონა-ტენერიფე | 112:69 |
| | სერია 1:0 |

*თურქეთი ფინალი*

| | |
|---|---|
| ფენერბაჰჩე-ეფესი | 66:93 |
| | სერია 0:3 |

## ჰოკეი

*NHL 1/4 ფინალი*

| | |
|---|---|
| მონრეალი-ვინიპეგი | 5:1 |
| | სერია 3:0 |
| ვეგასი-კოლორადო | 5:1 |
| | სერია 2:2 |

## ჩოგბურთი

***ATP-French Open (France), clay***

*1/8 ფინალი*

| | |
|---|---|
| შვარცმანი-შტრუფი | 7:6; 6:4; 7:5 |
| ჯოკოვიჩი-მუზეტი | 6:7; 6:7; 6:1; 6:0; 4:0 (მუსეტის ტრ.) |
| ნადალი-სინერი | 7:5; 6:3; 6:0 |

***WTA-French Open (France), clay***

*1/8 ფინალი*

| | |
|---|---|
| სტეფენსი-კრაიჩკოვა | 2:6; 0:6 |
| ჟაბური-გაუფი | 3:6; 1:6 |
| კენინი-საკარი | 1:6; 3:6 |
| კოსტიუკი-სვიატეკი | 3:6; 4:6 |

# შენგელიას 18 ქულით ცსკა-მ VTB-ლიგის ფინალურ სერიაში მეორე მატჩიც მოიგო

## შერმადინის ტენერიფე ბარსელონასთან განადგურდა

გუშინ, საქართველოს საკალათბურთო ნაკრების ლიდერებს - **თორნიკე შენგელიასა და გიორგი შერმადინს** თავიანთ კლუბებში მეტად საპასუხისმგებლო თამაშები ჰქონდათ. თოკომ ცსკა-სთან ერთად VTB-ლიგის ფინალური სერიის მეორე მატჩში „უნიქსის" წინააღმდეგ ითამაშა და მოსკოვური კლუბის გამარჯვებაში (76:57) უდიდესი წვლილი შეიტანა. ქართველმა ფორვარდმა შეხვედრაში ყველაზე მეტი - 18 ქულა ჩააგდო, რასაც 7 მოხსნა, 2 ასისტი, 1 დაფარება და 1 ჩაჭრაც დაუმატა. მან პარკეტზე ჯამში 25:15 წუთი გაატარა. შენგელიამ 13-დან 5 ორქულიანი და 12-დან 8 საჯარიმო სროლა გამოიყენა, 1 სამქულიანი კი ააცილა. ამით, ცსკა სერიაში 2:0-ზე დაწინაურდა, თანაც ისე, რომ ორივე რაუნდი სტუმრად მოიგო. 10 ივნისს გუნდი საშინაო კედლებში მესამე გამარჯვების მოპოვებას შეეცდება, რაც მას ჩემპიონის ტიტულს მოუტანს.

რაც შეეხება შერმადინს, მისი „ლენოვო ტენერიფე" ესპანეთის ლიგა ენდესას 1/2 ფინალური სერიის პირველ მატჩში „ბარსელონას" გასვლაზე დაუპირისპირდა. გუნდი უჩვეულოდ სუსტად გამოიყურებოდა, რის შედეგადაც გამანადგურებელი ანგარიშით დამარცხდა (69:112). თამაში არც გიოს წაუვიდა და 17:53 წუთში მხოლოდ 8 ქულისა და 4 მოხსნის მოგროვება შეძლო. მეორე მატჩი ხვალ, ტენერიფეში გაიმართება.

# ინგლისის ფეხბურთელთა ასოციაციამ პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელად დე ბრუინე დაასახელა



ინგლისის პრემიერლიგის ოფიციალური საიტისგან განსხვავებით, ქვეყნის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ (PFA) ლიგის გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშედ არა რუბენ დიაში, არამედ მისი თანაგუნდელი - „მანჩესტერ სიტის" ნახევარმცველი კევინ დე ბრუინე აღიარა. კანდიდატებს შორის დიაშიც იყო. ასევე, ჰარი კეინი („ტოტენჰემი"), ბრუნუ ფერნანდეში („მანჩესტერ იუნაიტედი"), ილქაი გიუნდოგანი და ფილიპ ფოდენი (ორივე-სიტი).

რაც შეეხება საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელს, ამ ნომინაციაში პრემიერლიგისა და PFA-ს პოზიციები დაემთხვა და ორივემ ფილ ფოდენი გამოარჩია.

აქვე გეტყვით იმასაც, რომ დე ბრუინე გუშინ ბელგიის ნაკრების განკარგულებაში გამოცხადდა. იგი ჩემპიონთა ლიგის ფინალში მიღებული სახის ტრავმის გამო ამ დრომდე ისვენებდა.

# ჯოკოვიჩმა მუზეტის 0:2-დან ამოუქაჩა

მსოფლიოს ნომერ პირველი ჩოგანი ნოვაკ ჯოკოვიჩი საფრანგეთის ღია პირველობის 1/8 ფინალში მოულოდნელად რთულ დაბრკოლებას წააწყდა. მას 19 წლის იტალიელმა ლორენცო მუზეტიმ დიდი წინააღმდეგობა გაუწია და პირველი ორი სეტი მოუგო. თუმცა, ამის მერე ნოლემ კონცენტრაცია მოიკრიბა და სეტებში ჯერ ანგარიში გაათანაბრა, ხოლო მე-5 რაუნდში ერთმანეთის მიყოლებით 4 გეიმი მოიგო (6:7; 6:7; 6:1; 6:0; 4:0). საბოლოოდ, მუზეტიმ ტრავმის მიზეზით თამაში შეწყვიტა.

საინტერესოა, რომ ჯოკოვიჩის კარიერაში ეს მე-5 შემთხვევაა, როცა მატჩი 0:2-დან შემოატრიალა. იგი ხვალ, „როლან გაროსის" 1/4 ფინალში იგი მუზეტის თანამემამულე მატეო ბერეტინის შეხვდება, პარალელურად კი რაფაელ ნადალი ურთიერთობას არგენტინელ დიეგო შვარცმანთან გაარკვევს. გამარჯვების შემთხვევაში, ნოვაკისა და რაფას გზები 1/2 ფინალში გადაიკვეთება.

# რონალდუ საკუთარ მომავალზე გადაწყვეტილებას ევრო-2020-ის შემდეგ მიიღებს

## იუვემ კრიშტიანოს წასვლის შემთხვევაში შესაძლოა გაბრიელ ჟეზუსი დაიმატოს



„იუვენტუსის“ ვარსკვლავის, კრიშტიანო რონალდუს მომავალი ჯერ კიდევ გაურკვეველია. ფეხბურთელის შეყვარებულმა, ჯორჯინა როდრიგესმა ცოტა ხნის წინ იტალიურ პრესას გაუმხილა, რომ კრიშტიანო ამ ზაფხულს კლუბიდან წასვლას არ აპირებს, თუმცა როგორც ESPN ამტკიცებს, გადაწყვეტილი ჯერ არაფერია და იგი საბოლოო არჩევანს ევროპის ჩემპიონატის შემდეგ გააკეთებს.

„La Gazzeta dello Sport“-ის ცნობით, „იუვეს“ შეფებს უკვე შერჩეული ჰყავთ ის კანდიდატი, რომლის შეძენასაც რონალდუს წასვლის შემთხვევაში შეეცდებიან. საუბარია „მანჩესტერ სიტისა“ და ბრაზილიის ნაკრების ფორვარდ გაბრიელ ჟეზუსზე.

ჟეზუსმა გასულ სეზონში 42 მატჩი ჩაატარა, 14 გოლი გაიტანა და 4 შედეგიანი პასი შეასრულა. იგი „სიტიში“ 2017 წლის იანვრიდან თამაშობს.

# პეპ გვარდიოლა: კუმანი ბარსელონასთვის იდეალური მწვრთნელია



„მანჩესტერ სიტის“ თავკაც ხოსეპ გვარდიოლას „ბარსელონაში“ შესაძლო დაბრუნების თაობაზე შეკითხვა კიდევ ერთხელ დაუსვეს. პეპმა ასევე საკუთარი აზრი გამოთქვა კატალონიური გუნდის მთავარი მწვრთნელის, რონალდ კუმანის შესახებ.

– „სიტისთან“ კონტრაქტი კიდევ 2 წლით მაკავშირებს და ამ კლუბში ბედნიერი ვარ. კუმანი „ბარსელონასთვის“ იდეალური მწვრთნელია ახლაც და მომავალი სეზონისთვისაც. ყველასთვის რთული წელი იყო და რონალდი „ბარსელონაში“ კიდევ ერთ სეზონს იმსახურებს. გარდა ამისა, მეორე სეზონები პირველს ყოველთვის სჯობია. ზოგჯერ, გუნდი კუმანის ხელმძღვანელობით ძალიან კარგად თამაშობდა და იმ მომენტებში ესპანეთში საუკეთესო ფეხბურთს აჩვენებდა, – აღნიშნა გვარდიოლამ, რომელიც „ბარსას“ 2008-12 წლებში ხელმძღვანელობდა.

# რა თანხას მიიღებს ვეინალდუმი პსჟ-ში?

„De Telegraaf“-ისთვის ცნობილი გახდა, თუ როგორი იქნება ნახევარმცველ ჯორჯინიო ვეინალდუმის ანაზღაურება „პარი სენ-ჟერმენში“. იგი წელიწადში 10 მილიონ ევროს გამოიმუშავებს. ეს სწორედ ის თანხაა, რომლის გამოც ნიდერლანდელმა „ბარსელონას“ ნაკლებად სარფიან წინადადებაზე უარი თქვა.

30 წლის ფეხბურთელი პსჟ-სთან 3-წლიან კონტრაქტს გააფორმებს მას მერე, რაც



„ლივერპულთან“ შრომითი ხელშეკრულება დაუმთავრდება.

# ხვიჩა კვარაცხელია: ლიდსთან მოლაპარაკებები იყო და შეიძლება გაგრძელდეს კიდეც

საქართველოს ნაკრებისა და ყაზანის „რუბინის“ გარემარბი ხვიჩა კვარაცხელია ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემა „სპორტის საათს“ სტუმრობდა, სადაც კარიერაში მოსალოდნელ ცვლილებაზე ისაუბრა.

– ამ ეტაპზე ტრანსფერის თაობაზე დაზუსტებით არაფრის თქმა შემიძლია, მაგრამ გიდასტურებთ, რომ ძალიან ბევრი მოლაპარაკება იყო და ახლაც მიმდინარეობს. ვფიქრობ, საკითხი გადამწყვეტ ფაზაში შედის... ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სათამაშო დროა. სადაც უფრო მეტ დროს მივიღებ, გულიც იქით მიმიწევს. ყველა კარგ გუნდში მაღალი კონკურენციაა და ეს ჩემთვისაც უკეთესი იქნება. ამისთვის მზად ვარ. ჩემს თავში 100%-ით ვარ დარწმუნებული...

ყველაზე დიდ სიამოვნებას ლა ლიგის ყურებისგან ვიღებ, რადგან თითქმის ყველა გუნდი ბურთით ძალიან კარგად თამაშობს...

„ლიდსთან“ რაღაც მოლაპარაკებები იყო და შეიძლება, გაგრძელდეს კიდეც. წინასწარ რაიმეს თქმა რთულია.

ჩემი ოცნება ჩემპიონთა ლიგის მოგებაა და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ. ჩემთვის ფულს დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მთავარი მიზანი დიდი ფეხბურთის თამაში და ოცნებების ახდენაა, – თქვა კვარაცხელიამ.

# შვეიცარიის სასამართლო სუპერლიგის კლუბებს არ დასჯის

შვეიცარიის იუსტიციის სამინისტრომ ფიფასა და უეფას ადგილობრივი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გააცნო, რომლის თანახმადაც აღნიშნული ორგანიზაციები ევროპის სუპერლიგაში გაწევრიანებული კლუბების - „რეალის“, „ბარსელონასა“ და „იუვენტუსისთვის“ სანქციების დაკისრებას ვერ შეძლებენ. ამრიგად, შვეიცარიის სასამართლო კლუბებს უფლებას აძლევს, სუპერლიგის პროექტზე მუშაობა გააგრძელონ.

უეფა ამ კლუბების წინააღმდეგ დავას ევროსასამართლოში აგრძელებს და მათ დაჯარიმებას ითხოვს.

# ინგლისის ნაკრებში ალექსანდერ-არნოლდს ბენ უაითი შეცვლის

ინგლისის ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა ევროპის ჩემპიონატის წინ გუნდის განაცხადში ცვლილება შეიტანა. ტრავმირებული მცველის, „ლივერპულელი“ ტრენტ ალექსანდერ-არნოლდის ნაცვლად ტურნირში „ბრაიტონ ენდ ჰოუვ ალბიონის“ უკანახაზელი ბენ უაითი ითამაშებს.

აღსანიშნავია, რომ ტრენტის ადგილას „საუთჰემპტონის“ ნახევარმცველ ჯეიმს უორდ-პრაუსისა და „ვესტ ჰემის“ ვინგერ ჯესი ლინგარდის კანდიდატურებიც განიხილებოდა, მაგრამ გარეტ საუთგეიტმა არჩევანი უაითზე შეაჩერა.

შეგახსენებთ, რომ ალექსანდერ-არნოლდი ავსტრიასთან გამართული ამხანაგური მატჩისას (1:0) დაშავდა. მან ბარძაყის,



ტრავმა მიიღო და დაახლოებით 6 კვირა გაუცდება.

## ბუსკეტსს კორონავირუსი აღმოაჩნდა, ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ესპანეთის ნაკრები აიცრება

### ლუის ენრიკემ გუნდში კიდევ ოთხი ფეხბურთელი გამოიძახა

პორტუგალიის წინააღმდეგ გამართულ ამხანაგურ მატჩში მონაწილეობის შემდეგ (0:0), ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველ სერხიო ბუსკეტსს კორონავირუსი დაუდასტურდა. „ბარსელონას" ფეხბურთელი კარანტინშია გადაყვანილი და, ბუნებრივია, ევროპის ჩემპიონატის სტარტს გამოტოვებს.

ამის ფონზე, დღეს, ესპანეთის მთავრობა ეროვნული გუნდის ვაქცინაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას აპირებს, რის შემდეგაც „ფურია როხას" დელეგაცია აიცრება. გავრცელებული ინფორმაციით, პროცესი ტურნირის დაწყებამდე ჩატარდება.

ბუსკეტსის დაინფიცირების მერე, ლუის ენრიკემ ნაკრებში ოთხ ფეხბურთელს უხმო: თავდამსხმელებს - ბრაისს მენდესსა („სელტა") და როდრიგო მორენოს („ლიდსი") და ნახევარმცველებს - პაბლო ფორნალსსა („ვესტ ჰემი") და კარლოს სოლერს („ვალენსია"). ეს კვარტეტი დროებით გუნდისგან განცალკევებით ივარჯიშებს, ევრო-2020-ზე მათი მონაწილეობის საკითხი კი მოგვიანებით, ნაკრებში არსებული საკადრო სიტუაციის გათვალისწინებით გადაწყდება.



## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ პორტუგალიელი ნახევარმცველი აღიარეს



ევროპის 21-წლამდე ფეხბურთელთა ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშის წოდება პორტუგალიის ნაკრების შუახაზელ ფაბიო ვიეირას მიენიჭა. „პორტუს" შუახაზელმა ტურნირში 6 მატჩი ჩაატარა და თავი ერთი გოლითა და ერთი შედეგიანი პასით გამოიჩინა.

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონატის ფინალში პორტუგალია გერმანიასთან მინიმალური ანგარიშით დამარცხდა. შეხვედრას ქართველი მსაჯების ბრიგადა ემსახურებოდა გიორგი ყრუაშვილის თაოსნობით.

## ბარსა ვალენსიას მცველს უმიზნებს

„ვალენსიას" მცველი ხოსე ლუის გაია შესაძლოა „ბარსელონაში" აღმოჩნდეს. კატალონიური კლუბი მასში ხუნიორ ფირპოს შემცვლელს ხედავს, რომელმაც მოლოდინები ვერ გაამართლა და დაცვის მარცხენა ფლანგზე ჟორდი ალბას დუბლიორის როლი აშკარად ვერ შეასრულა.

შეგახსენებთ, რომ „ბლაუგრანა" გაიას მიმართ ინტერესს შარშან ზაფხულსაც იჩენდა. „transfermarkt"-ის ვერსიით, 26 წლის ფეხბურთელის სატრანსფერო ფასი 35 მილიონ ევროს შეადგენს.




## ზინედინ ზიდანი: ფეხბურთელი ან ძიუდოისტი რომ ვერ გამოვსულიყავი, კურიერი გავხდებოდი

მადრიდის „რეალის" ყოფილმა ნახევარმცველმა და შემდგომში მთავარმა მწვრთნელმა ზინედინ ზიდანმა გაამხილა, თუ რას გააკეთებდა, საფეხბურთო კარიერის აწყობა რომ ვერ მოეხერხებინა.

– ადრე ძიუდოზე დავდიოდი, მაგრამ რაღაც მომენტში ძიუდოსა და ფეხბურთს შორის არჩევანი უნდა გამეკეთებინა. ფეხბურთი ავირჩიე. ფეხბურთელი ან ძიუდოისტი რომ ვერ გამოვსულიყავი, კურიერი გავხდებოდი. ბავშვობაში ეს ჩემი გატაცება იყო და სამეზობლოში მაღაზიებს ვეხმარებოდი, – ამბობს ფრანგი.



## მბაპე ორბიტაზე მყოფ კოსმონავტს ესაუბრა

„პარი სენ-ჟერმენის" თავდამსხმელი კილიან მბაპე ისტორიაში პირველი ფეხბურთელი გახდა, რომელმაც კოსმოსში მყოფ ადამიანთან პირდაპირი კონტაქტი დაამყარა და შესაბამისი საკომუნიკაციო არხის საშუალებით ესაუბრა. საფრანგეთის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი ფრანგ კოსმონავტ ტომ პესკეს დაუკავშირდა, რომელიც საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე იმყოფება. ასტრონავტმა და ფეხბურთელმა ისაუბრეს იმაზე, თუ ვინ რას გააკეთებს ზაფხულში და რამდენად რთულია კოსმოსში ფეხბურთის თამაში.

**პესკე:** აქ კოლეგებთან ერთად ფეხბურთის თამაში ვცადე, მაგრამ ნულოვანი გრავიტაციის პირობებში ეს არც ისე მაგარია, რადგან ბურთი მაღლა მიფრინავს და ძირს არ ეშვება. ფეხბურთი დედამიწაზე უნდა ითამაშო.

**მბაპე:** ფეხბურთის გარდა, ცხოვრებაში გასართობი სხვაც ბევრია, მაგრამ კოსმოსში თამაში საოცრება იქნებოდა.

**პესკე:** ძალიან ვცდილობ, კოლეგებთან ერთად შაბათ-კვირას ვითამაშო, აქ კარიც კი დავაყენეთ, მაგრამ „მაკრატელა" დარტყმების გარდა, არაფერი გამოგვდის.

**მბაპე:** რამდენი ხანია, რაც მანდ ხარ?

**პესკე:** 6 თვეა. ეს მსოფლიოს ჩემპიონატს ჰგავს, რომლისთვისაც წლების განმავლობაში ფიზიკურად და გონებრივად ბევრს ვემზადებით. კოსმოსში წელიწადნახევარს ვატარებთ, მერე კი რეაბილიტაციას 6 თვე მიაქვს. ასე რომ, შეიძლება, ორ, სამ ან ოთხ მისიაზე გაემგზავრო, დანარჩენი დრო კი მომზადებას სჭირდება. ეს შრომა კულისებს მიღმა რჩება.

**მბაპე:** ძალიან კარგად მესმის. ფეხბურთელების შემთხვევაშიც ბევრი ვერ ხედავს იმ შრომას, რასაც თამაშების წინ ვწევთ. მაგრამ ამას არ აქვს მნიშვნელობა, როცა შენი საქმით გატაცებული ხარ. შეიძლება, ჩრდილშიც დარჩე, თუ იმას აკეთებთ, რაც გიყვარს. საქმისადმი დამოკიდებულებაზე ყველა სიტყვაზე მეტად შენი ღიმილი მეტყველებს.



## პსჟ-ს პრეზიდენტი: ბარსელონას ნეიმარის ყიდვა ყოველთვის სურდა, მაგრამ მას კარიერის დასრულება პსჟ-ში სურს

### „მბაპეს არასდროს გავყიდით“



„პარი სენ-ჟერმენის“ პრეზიდენტ ნასერ ალ-ხელაიფის თქმით, „ბარსელონა“ ნეიმარის უკან დაბრუნებას მუდამ ცდილობდა. არაბმა ბიზნესმენმა კილიან მბაპეს შესახებაც ისაუბრა.

— კრიზისის გამო ნეიმართან ახალი კონტრაქტის თაობაზე მოლაპარაკებებს დიდი დრო დასჭირდა, თუმცა შეთანხმების მიღწევა ადვილი იყო. ის კვლავაც დარწმუნებულია, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. მცირედი ეჭვიც არ შემპარვია, რომ იგი ახალ კონტრაქტზე დაგვთანხმდებოდა იმის მიუხედავად, რომ „ბარსელონა“ მის დაბრუნებას ბოლომდე ცდილობდა. რასაკვირველია, ჩვენ მათ უარს ვეუბნებოდით. ამ კლუბს ნეიმარის ყიდვა ყოველთვის სურდა და ეს საიდუმლო არ არის... როგორც ვიცი, „ბარსელონას“ გარკვეული ფინანსური პრობლემები აქვს, მაგრამ ეს ჩემი საქმე არაა.

უნდოდა თუ არა თავად ნეიმარს წასვლა? არა. საწყის ეტაპზე პარიზსა და საფრანგეთში მისი ადაპტაცია დასრულებული არ იყო, ახლა კი მას ჩვენი პროექტის სწამს, პსჟ, ჩვენი ქალაქი და გულშემატკივრები უყვარს; საქმეში სრულად არის ჩართული და ისევ უნდა აქ ბევრი ტიტულის მოგება. ვამაყობ იმ ურთიერთობით, რომელიც ჩვენ შორის ჩამოყალიბდა. ნეიმარმა მითხრა, რომ კარიერის დასრულება პსჟ-ში სურს.

მინდა, კიდევ ერთხელ ცხადად განვმარტო ისიც, რომ მბაპე პარიზში დარჩება, მას არასდროს გავყიდით და იგი თავისუფალი აგენტის სტატუსითაც არასოდეს დაგვტოვებს. მბაპეს პარიზში ყველაფერი აქვს, რაც სჭირდება. თუნდაც ამბიციური თვალსაზრისით დღეს რომელ კლუბს შეუძლია პსჟ-სთვის კონკურენციის გაწევა?! — ამბობს ალ-ხელაიფი.

## ვენგერმა ევრო 2020-ის მთავარი ფავორიტი დაასახელა

ლონდონის „არსენალის“ ყოფილი თავკაცი არსენ ვენგერი თვლის, რომ ევროპის ჩემპიონატის მოგების ყველაზე დიდი შანსი მისი მშობლიური ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს აქვს.

— საფრანგეთი სუპერფავორიტია. მეტიც, ეს სიტყვა ამ გუნდს საკმარისად კარგად ვერც კი აღწერს. ეს გუნდი მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონია, რომელსაც ჰყავს ნგოლო კანტე, პოლ პოგბა, ქარიმ ბენზემა, ანტუან გრიზმანი, კინგსლი კომანი, ოლივიე ჟირუ, უსმან დემბელე და სხვები. ჯერ შემადგენლობის ნახევარიც კი არ დამისახელებია.

დიდიე დეშამს სათადარიგოთა სკამზე ჰყავს 11 ფეხბურთელი, რომელიც მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში თავისუფლად ითამაშებდა. ამასთან, საფრანგეთს თავისი პიკისთვის ჯერაც არ მიუღწევია, — თქვა ვენგერმა.

შეგახსენებთ, რომ „სამფეროვნები“ ევრო-2020-ის F ჯგუფში გერმანიას, უნგრეთსა და პორტუგალიას ეთამაშებიან.



## უეფამ უკრაინის ნაკრების ფორმასთან დაკავშირებით რუსების პრეტენზიებს უპასუხა

უეფამ უკრაინის ნაკრების სათამაშო ფორმასთან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გაავრცელა. უკრაინელები მოახლოებულ ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებენ მაისურებით, რომელზეც ეროვნულ სიმბოლიკასთან ერთად გამოსახული იქნება ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების კონტურები, რომელიც რუსეთის მიერ 2014 წელს ანექსირებული ყირიმის ნახევარკუნძულსაც მოიცავს. რუსეთის დუმამ ამ ფაქტს „პოლიტიკური პროვოკაცია“ უწოდა და უეფას აღნიშნული ფორმის აკრძალვის მოთხოვნით მიმართა.

— უკრაინის ეროვნული ნაკრების ფორმა, ისევე როგორც ევრო-2020-ის მონაწილე ყველა სხვა გუნდისა, უეფას მიერ არის დამტკიცებული და ეკიპირების თაობაზე დაწესებულ ნორმებს შეესაბამება, — ნათქვამია უეფას განცხადებაში.

უკრაინა ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე ნიდერლანდების, ჩრდ.მაკედონიისა და ავსტრიის ნაკრებების წინააღმდეგ ითამაშებს.

## ბარსამ ვეინალდუმის სიტუაციის გამეორების თავიდან ასაცილებლად დეპაის გაუმჯობესებული წინადადებით მიმართა

### კატალონიელები ფერნანდინიოთიც დაინტერესდნენ



„ბარსელონა“ თავდამსხმელ მემფის დეპაის ტრანსფერზე მუშაობას აგრძელებს. კლუბმა 27 წლის ფორვარდს 3-წლიანი კონტრაქტი შესთავაზა იმაზე უკეთესი ფინანსური პირობებით, ვიდრე თავდაპირველად იმეტებდნენ. ამის მიზეზი „ლივერპულის“ ნახევარმცველ ჯორჯინიო ვეინალდუმთან მოლაპარაკებებში განცდილ კრახს უკავშირდება. „ბარსას“ არ სურს, რამდენიმე დღისწინანდელი სიტუაცია განმეორდეს, როცა ვეინალდუმმა კატალონიელთა რიგებში გადასვლა გადაიფიქრა, რადგან „პარი სენ-ჟერმენისგან“ უფრო მომგებიანი წინადადება მიიღო. შეგახსენებთ, რომ დეპაი მალე თავისუფალი აგენტი გახდება, რამეთუ „ლიონთან“ მის ხელშეკრულებას ვადა ეწურება.

ამავე დროს, „ბლაუგრანას“ კიდევ ერთი შუახაზელის დამატების სურვილი არ დაუკარგავს. ვეინალდუმის საქმის ჩავარდნის შემდეგ, კლუბმა ყურადღება „მანჩესტერ სიტის“ კაპიტან ფერნანდინიოზე გადაიტანა. „Marca“-ს ინფორმაციით, კატალონიელებს იმედი აქვთ, რომ 36 წლის ფეხბურთელსაც უფასოდ ჩაიგდებენ ხელში და იგი „სიტისთან“ მიმდინარე თვის ბოლომდე მოქმედ კონტრაქტს აღარ გაახანგრძლივებს.

## ჩელსის ჰოლანდის ტრანსფერში აბრაჰამის ჩართვა სურს



„ჩელსი“ თავდამსხმელ ტემი აბრაჰამისთვის ახალ კლუბს ეძებს. „The Telegraph“-ის ცნობით, ლონდონური კლუბი ცდილობს, გაარკვიოს, უნდა თუ არა ფეხბურთელის შეძენა „დორტმუნდს“. იმ შემთხვევაში, თუ გერმანელები აბრაჰამის გადაბირებას ცალკე ტრანსფერის სახით არ მოისურვებენ, „ჩელსი“ ინგლისელის ჩართვას ერლინგ ჰოლანდის ტრანსფერში შესთავაზებს.

„transfermarkt“-ის ვერსიით, აბრაჰამის სატრანსფერო ფასი 40 მილიონ ევროს შეადგენს, ხოლო ჰოლანდი 110 მილიონი ღირს.

## ლუკა დონჩიჩი: მომავალ სეზონს უნდა დაველოდოთ და შეცდომები გამოვასწოროთ




„დალას მავერიქსის“ მცველმა ლუკა დონჩიჩმა NBA-ს 1/8 ფინალური სერიის გადამწყვეტ მატჩში „ლოს ანჯელეს კლიპერსთან“ განცდილი მარცხისა და საჩემპიონო რბოლიდან გავარდნის შესახებ (111:126, 3-4) კომენტარი გააკეთა. სლოვენიელმა კალათბურთელმა შეხვედრაში 46 ქულა, 17 ასისტი და 7 მოხსნა მოაგროვა.

– გუნდში ცვლილებების საჭიროებაზე შეკითხვები იმ ადამიანებს უნდა დაუსვათ, რომლებიც კლუბში გადაწყვეტილებებს იღებენ. მე მხოლოდ და მხოლოდ მოთამაშე ვარ, თუმცა ზუსტად ვიცი, რომ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა მომავალ სეზონში შესანიშნავად ვითამაშოთ. თავს არ ვზოგავთ, ამიტომაც ჩვენი გუნდით ძალიან ვამაყობ. ცხადია, წაგება გვძულს. ფლეი-ოფი რეგულარული სეზონისგან განსხვავდება, სერიის მე-7 თამაში კი ყველაზე რთულია. მას შემდეგ, რაც „მავერიქსში“ ვარ, ფლეი-ოფში 2-ჯერ გავედით და 2-ვეჯერ დავმარცხდით.

ყოველი წაგებული მატჩის მერე შეიძლება ვიფიქროთ, რომ რაღაცის უკეთ გაკეთება შეგვეძლო, მაგრამ ეს წარსულია და ველარ შევცვლით. მომდევნო სეზონს უნდა დაველოდოთ და შეცდომები გამოვასწოროთ, – განაცხადა დონჩიჩმა, რომელიც NBA-ს ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა კალათბურთელი გახდა, რომელმაც ფლეიოფის მე-7 შეხვედრაში მინიმუმ 40 ქულა ჩააგდო - ლუკა კვირას ზუსტად 22 წლისა და 98 დღის იყო. მანამდე რეკორდი ლებრონ ჯეიმსს ეკუთვნოდა (23 წელი და 140 დღე). ამასთან, მე-7 თამაშში დონჩიჩზე მეტი ქულა მხოლოდ სემ ჯონსსა (47) და დომინიკ უილკინსს (47) მოუგროვებიათ.

## მატს ჰუმელსი: გერმანიას ევრო-2020-ის მოგება შეუძლია



„დორტმუნდისა“ და გერმანიის ნაკრების მცველ მატს ჰუმელსს ევროპის ჩემპიონატზე ბუნდესტიმის წარმატების სჯერა.

– მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის დროს ჩვენი პრობლემა ის იყო, რომ შეკრული კოლექტივი არ იყო. ერთიანობას ვერ მივაღწიეთ. მომავალ ევროპის ჩემპიონატზე ასე არ იქნება. ახლა მეც სულ სხვა ემოციებს განვიცდი. გუნდში ყველა მზადაა, გუნდის ინტერესებს პირადი ამბიციები შესწიროს. ვფიქრობ, ევრო-2020-ის მოგება შეგიძლია - ამისათვის ყველაფერი გვაქვს, – ამბობს ჰუმელსი.

## დიდიე დეშამი: მაურინიოს „ტოტენჰემზე“ იმავეს ვფიქრობდი, რაც მან საფრანგეთის ნაკრებზე თქვა

საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი დიდიე დეშამი „რომას“ ახალი დამრიგებლის, ჟოზე მაურინიოს სიტყვებს გამოეხმაურა, რომელმაც განაცხადა, რომ საფრანგეთისთვის მოახლოებულ ევრო-2020-ზე გამარჯვების გარდა ნებისმიერი სხვა შედეგი წარუმატებლობა იქნება.

– მის „ტოტენჰემზე“ იმავეს ვფიქრობდი, რაც მან საფრანგეთის ნაკრებზე თქვა, მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად დასრულდა. დიახ, ტურნირის ფავორიტები ვითვლებით იმის გამო, რომ მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონები ვართ. ეს არ არის ზეწოლა, ესაა რეალობა და არც უარვყოფთ. აშკარაა, რომ უდიდესი შეტევითი პოტენციალი გაგვაჩნია, მაგრამ საქმე მხოლოდ ამაში არაა. გუნდში სათანადო ბალანსის პოვნაა საჭირო. იმედია, ბურთს ხშირად გავაკონტროლებთ, თუმცა შეიძლება განსხვავებული ტაქტიკაც ვცადოთ და სხვადასხვა სიტუაციებისთვისაც მზად ვიყოთ, – აღნიშნა დეშამმა.



## ინგლისელი ფეხბურთელები ევროპის ჩემპიონატის მატჩების წინ დაიჩოქებენ

ინგლისის ნაკრების თავკაცი გარეტ საუთგეიტის თქმით, მისი გუნდი რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიაში დამკვიდრებულ ცნობილ ჟესტს ევროპის ჩემპიონატის მიმდინარეობის დროსაც გამოიყენებს და მატჩების წინ ფეხბურთელები და მწვრთნელები მუხლზე დაიჩოქებენ.



– ხალხმა თავი ახალგაზრდა ფეხბურთელების ადგილას უნდა წარმოიდგინოს. რას იგრძნობდნენ ისინი, მათი შვილები რასობრივი დისკრიმინაციის მსხვერპლები რომ იყვნენ? გადაწყვეტილი გვაქვს, ეს ჟესტი მთელი ტურნირის განმავლობაში გამოვიყენოთ. ვიცით, რომ შეიძლება ამას უარყოფითი რეაქცია მოჰყვეს, მაგრამ ამას ყურადღებას არ მივაქცევთ, – განაცხადა საუთგეიტმა.

საგულისხმოა, რომ ინგლისსა და ავსტრიას შორის გამართული ამხანაგური მატჩის წინ, ტრიბუნებზე შეკრებილი გულშემაკივრების ნაწილი ინგლისელი ფეხბურთელების ასეთ ქმედებას სტვენით შეხვდა.

## რომელუ ლუკაკუ: ბელგიის ნაკრები რუსეთში მშვიდად გაემგზავრება

ბელგიის ნაკრების თავდამსხმელმა რომელუ ლუკაკუმ ხორვატიასთან მოგებული სპარინგი შეაფასა (1:0), რომლის ბედიც მისმა გოლმა გადაწყვიტა.

– ხორვატია ძლიერი მოწინააღმდეგე იყო. მათ საქმე გაგვირთულეს, თუმცა ისე ვითამაშეთ, თითქოს ეს ამხანაგური მატჩი არ იყო. ახლა რუსეთში მშვიდად გავემგზავრებით, რადგან ის გავაკეთეთ, რაც უნდა გაგვეკეთებინა. ეროვნულ ნაკრებში მე-60 გოლი გავიტანე, მაგრამ ვცდილობ, კონცენტრაცია შევინარჩუნო და ყურადღება მომავალ მატჩებზე გავამახვილო, – თქვა „ინტერის“ ფეხბურთელმა.

ბელგიელები ევრო-2020-ის ჯგუფურ ეტაპზე პირველ მატჩს 12 ივნისს, სანკტ-პეტერბურგში რუსეთის წინააღმდეგ ჩაატარებენ. ჯგუფში დანია და ფინეთიც არიან.



## ფოდენი ტოპ-ლიგების ყველაზე ძვირადღირებულ ფეხბურთელად აღიარეს, მბაპე ათეულშიც არ არის



სპორტის კვლევის საერთაშორისო ცენტრმა (CIES), საკუთარი ალგორითმის საფუძველზე, ევროპის ტოპ-5 ლიგაში ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელები დაასახელა. საინტერესოა, რომ ლიდერთა ხუთეულში „მანჩესტერ იუნაიტედის" სამი მოთამაშე მოხვდა, ხოლო „პარი სენ-ჟერმენის" ლიდერი კილიან მბაპე ათეულშიც კი არაა.

1. ფილიპ ფოდენი (190.2 მილიონი ევრო, სიტი)
2. მეისონ გრინვუდი (178 მლნ, მანჩესტერი)
3. მარკუს რაშფორდი (159.1 მლნ, მანჩესტერი)
4. ერლინგ ჰოლანდი (155.5 მლნ, დორტმუნდი)
5. ბრუნო ფერნანდეში (154.3 მლნ, მანჩესტერი)
6. ფრენკი დე იონგი (138.7 მლნ, ბარსელონა)
7. პედრი (133.2 ნლნ, ბარსელონა)
8. ალფონსო დეივისი (131.6 მლნ, ბაიერნი)
9. ჟოაუ ფელიში (127.8 მლნ, ატლეტიკო)
10. მეისონ მაუნთი (123.6 მლნ, ჩელსი)
11. ჯეიდონ სანჩო (120.8 მლნ, დორტმუნდი)
12. კილიან მბაპე (118.3 მლნ, პსჟ)
13. ფერან ტორესი (118 მლნ, სიტი)
14. კაი ჰავერცი (116.5 მლნ, ჩელსი)
15. ტრენტ ალექსანდერ-არნოლდი (115 მლნ, ლივერპული)
16. რუბენ დიაში (114.4 მლნ, სიტი)
17. ტიმო ვერნერი (108.9 მლნ, ჩელსი)
18. ვინისიუს ჟუნიორი (104.4 მლნ, რეალი)
19. ბერნარდუ სილვა (104.2 მლნ, სიტი)
20. ბუკაიო საკა (104 მლნ, არსენალი)

## პსჟ დონარუმას 10-მილიონიან ხელფასს სთავაზობს



„პარი სენ-ჟერმენმა" მეკარე ჯანლუიჯი დონარუმასთან სამომავლო თანამშრომლობის თაობაზე მოლაპარაკებები წამოიწყო. როგორც „Sportitalia"-სა და „Gazzetta dello Sport"-ის ცნობილი ჟურნალისტი ალფრედო პედულა იუწყება, პარიზული კლუბი ფეხბურთელს წელიწადში 10 მილიონი ევროს ოდენობის ხელფასს სთავაზობს.

შეგახსენებთ, რომ დონარუმა „მილანს" თვის ბოლოს თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვებს. მისი გადაბირება „იუვენტუსსაც" სურს. ტურინელები ამჟამად ვოიცეხ შესნის გაყიდვას ცდილობენ, რათა ჯიჯიოსთვის ადგილი გამოათავისუფლონ.

## ესპანეთის სუპერთასი 2029 წლის ჩათვლით საუდის არაბეთში ჩატარდება

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ საუდის არაბეთთან შეთანხმების ვადის გაგრძელების თაობაზე გამოაცხადა. როგორც გაირკვა, გათამაშება მომდევნო წლებშიც ახლო აღმოსავლეთის ქვეყანაში ჩატარდება, უფრო კონკრეტულად კი 2029 წლის ჩათვლით. ამ ხნის განმავლობაში ფედერაცია 240-მილიონიდან 320 მლნ ევრომდე თანხას მიიღებს. ტურნირის მატჩები იანვრის მეორე ან მესამე კვირაში გაიმართება. წინა ხელშეკრულებას ვადა 2026 წელს ეწურებოდა.

2019-20 წლების სეზონიდან მოყოლებული ესპანეთის სუპერთასი ოთხთა ფინალის ფორმატში ტარდება, რომელშიც ლა ლიგის გამარჯვებული, ვიცე-ჩემპიონი, ესპანეთის თასის მფლობელი, და მეორე ფინალისტი მონაწილეობენ. მომდევნო სუპერთასზე „ატლეტიკო", „რეალი", „ბარსელონა" და „ბილბაო" ითამაშებენ.

## მარგველაშვილი და ლევიცკა-შუკვანი მსოფლიოს ჩემპიონატს საწყისი ეტაპიდან გამოეთიშნენ

ქართველი ძიუდოისტები ბუდაპეშტში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატში ჩაერთვნენ. თუმცა, ჩვენი ნაკრებისთვის ტურნირის მეორე დღე წარუმატებელი გამოდგა. მოულოდნელად, პირველივე მეტოქესთან დამარცხდა ევროპის 2016 წლის ჩემპიონი და მოქმედი ვიცე-ჩემპიონი **ვაჟა მარგველაშვილი.** -66 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ქართველი ასპარეზობაში მეორე წრიდან ჩაერთო და მოლდოველ ვადიმ ბუნესკუსთან „გოლდენ სქორში" იპონით დამარცხდა, როცა ილეთის შესრულებას ცდილობდა.

პირველივე ბრძოლაში და დამატებით დროში განიცადა მარცხი **ტეტიანა ლევიცკა-შუკვანმაც** (-52). მან აზერბაიჯანელ გულთაი მამადალიევასთან შეხვედრისას მუხლის ტრავმა მიიღო და ჭიდაობა ველარ გააგრძელა.

დღეს, ჩვენი ქვეყნის სახელით სამი ძიუდოისტი იასპარეზებს: ოლიმპიური ჩემპიონი **ლაშა შავდათუაშვილი** (-73) პირველ წრეში პერუელ ალონსო ვონგს შეერკინება, ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ნუგზარ ტატალაშვილი** (-73) - ბულგარელ ვაძიმ შოკას, ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონი **ეთერ ლიპარტელიანი** (-57) კი ჩეხ ვერა ზემანოვას.

| კაცები -66 კგ | | ქალები -52 კგ | |
|---|---|---|---|
| 1. იოშირო მარუიამა | (იაპ.) | 1. აი შიშიმე | (იაპ.) |
| 2. მანუელ ლომბარდო | (იტა.) | 2. ანა პერესი | (ესპ.) |
| 3. ბასხუ იონდონპერენლეი | (მონღ.) | 3. გეფენ პრიმო | (ისრ.) |
| 3. იაკუბ შამილოვი | (რუს.) | 3. ფაბიენ კოხერი | (შვეიც.) |

## ფლოიდ მეივეზერმა ბლოგერ ლოგან პოლთან საგამოფენო ბრძოლა ჩაატარა

გუშინ, მაიამის „ჰარდ როკ სთეიდიუმზე" ლეგენდარულ მოკრივე ფლოიდ მეივეზერსა და ცნობილ „იუთუბერ" ლოგან პოლს შორის საგამოფენო ბრძოლა გაიმართა. წინასწარი შეთანხმების მიხედვით, გამარჯვებული მხოლოდ ნოკაუტის შემთხვევაში უნდა გამოვლენილიყო, მაგრამ ეს არ მოხდა და შეხვედრა რეგლამენტით გათვალისწინებული 8 რაუნდის განმავლობაში, ჯამში 24 წუთს გაგრძელდა.

არაოფიციალური დათვლების თანახმად, ტრადიციული წესების პირობებში გამარჯვება 44 წლის მეივეზერს უნდა დარჩენოდა (78:74). იგი გარანტირებული ჰონორარის სახით 10 მილიონ აშშ დოლარს მიიღებს, რასაც ტელეტრანსლაციებიდან მიღებული შემოსავლების 50% დაემატება. რაც შეეხება 26 წლის ლოგან პოლს, მას გარანტირებულად 250 ათასი დოლარი და ტელეუფლებებიდან შემოსავლების 10%-იანი წილი ერგება.

შეგახსენებთ, რომ ფლოიდ მეივეზერს პროფესიონალურ კრივში 50-დან 50 ბრძოლა აქვს მოგებული.




ISSN 1512-1380

გაზეთი რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ №5988
მის: ჩუბინაშვილის ქ. №50.
ელ. ფოსტა sport_info@mail.ru